



## სასოფლო-სამეურნეო მონაცემების გამოყენება მიწოდების ცივი ჯაჭვის განსაკვიტარებლად

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და კერძო სექტორის ასოციაციების აღვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება

2024

შენიშვნა: ამ ანგარიშის მოზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ის მთავრობის პოზიციას.

## შესავალი

ამჟამად სახელმწიფო ცდილობს ბევრი დარგის მხარდაჭერას სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით სუბსიდირების, გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტის გაცემის გზით. თუმცა სოფლის მეურნეობის დარგში ბიზნესის წარმატებული საქმიანობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მონაცემებზე წვდომა.

მონაცემებზე წვდომა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიწოდების ცივი ჯაჭვის განსავითარებლად, რომელიც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო კომპლექსური ხდება.

ამ დოკუმენტის მიზანია მიწოდების ცივი ჯაჭვის განვითარებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

## პრობლემის აღწერა

მსოფლიო ბანკის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, რომელიც ლოჯისტიკის პერფორმანსის ინდექსს ზომავს, საქართველო 79-ე ადგილზეა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამჟამად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების ცივი ჯაჭვი განუვითარებელია. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული ინფორმაციის სიმწირე უმთავრესი მიზეზია. საჯარო მონაცემები, რომელიც სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციის მიერ გროვდება, ხშირ შემთხვევაში, ფრაგმენტული და მოძველებულია. გარდა ამისა, დაბალია მათზე წვდომაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიწოდების ჯაჭვში ჩართულ სხვადასხვა რგოლს განსხვავებული მონაცემი ესაჭიროება. მაგალითად, იმისათვის, რომ სამაცივრე მეურნეობამ შეძლოს საკუთარი პოტენციალის სრულად ათვისება და დანაკარგების თავიდან არიდება, სამაცივრის დაგეგმარების პროცესში უნდა განისაზღვროს ის კონკრეტული პროდუქტები, რომლის შენახვასაც ემსახურება კონკრეტული სამაცივრე მეურნეობა, რადგან სხვადასხვა პროდუქტს სხვადასხვა სამაცივრე რეჟიმი ესაჭიროება. შესაბამისად, სამაცივრე მეურნეობებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სანედლეულო ბაზას, სადაც კონკრეტული რეგიონის, სოფლის, თემის მიხედვით იქნებიან დარეგისტრირებული მეწარმეები. სასურველია, რომ რეესტრი მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: პროდუქციის ჯიში, მეწარმის ბალის ზომა, ნერგების ასაკი, საშუალო მოსავლიანობა და ა.შ. მსგავსი ინფორმაცია უზრუნველყოფს სამაცივრე მეურნეობების სწორ დაგეგმარებას და თავიდან აირიდებს ისეთი სამაცივრე მეურნეობების არსებობას, რომლებიც წელიწადში 8 თვის განმავლობაში ცარიელია.

ვინაიდან მალფუჭებადი პროდუქციის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად და მისთვის ხარისხის შესანარჩუნებლად აუცილებელია მიწოდების ცივი ჯაჭვის დაცვა, მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის შესანახად განსაკუთრებით სჭირდებათ სამაცივრე მეურნეობები, რათა მოახდინონ პროდუქციის შესაფერის გარემოში დასაწყობება და მისი პირვანდელი სახის შენარჩუნება წარმოებიდან მომხმარებელამდე მიწოდების პროცესში.

სუბიექტს, რომელსაც სურს სამაცივრე მეურნეობის სერვისის გამოყენება, ესაჭიროება შემდეგი ინფორმაცია:

- სამაცივრე მეურნეობის ადგილმდებარეობა — რათა განისაზღვროს ხარჯები პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით;
- სამაცივრე მეურნეობის ტევადობა — რათა განისაზღვროს, რა რაოდენობის პროდუქციის დასაწყობება იქნება შესაძლებელი;
- სამაცივრე მეურნეობის ტემპერატურული რეჟიმები — რადგან სხვადასხვა პროდუქტს სხვადასხვა ტემპერატურული რეჟიმი ესაჭიროება. შესაბამისად, სამაცივრის ტექნიკური შესაძლებლობის წინასწარ ცოდნა აუცილებელია სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილების მისაღებად;
- სამაცივრე მეურნეობის საკონტაქტო ინფორმაცია — ამის გარეშე ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია არაფრისმომცემია, რადგან დამკვეთი ვერ ახერხებს ბიზნეს-სუბიექტის იდენტიფიცირებას და მასთან დაკავშირებას.

მიწოდების ცივი ჯაჭვის ბოლო ორ რგოლს — ლოჯისტიკურ კომპანიებს და საცალო მოვაჭრეებს — მარაგების სწორად დაგეგმვისთვის ესაჭიროებათ დეტალური ინფორმაცია პირველადი წარმოების შესახებ.

ლოჯისტიკური კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ ინფორმაცია მეწარმეების შესახებ რეგიონების მიხედვით, რათა ეფექტიანად მოიძიონ პარტნიორები და ააწყონ სწორი სადისტრიბუციო ხაზი. ფერმერებს და ლოჯისტიკურ კომპანიებს სჭირდებათ ინფორმაცია საცალო ქსელებსა და ხილ-ბოსტნეულის სპეციალიზირებულ მაღაზიებში გაყიდული ხილ-ბოსტნეულის რაოდენობის შესახებ კულტურების მიხედვით.

საცალო მოვაჭრეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ადგილობრივი წარმოების შესახებ, რათა ფასების პროგნოზირება შეძლონ. მაგალითად, თუ კონკრეტული პროდუქციის დანაკლისი იქნება ადგილობრივ ბაზარზე, მოსალოდნელია იმპორტის ზრდა და ფასის მატება.

აღნიშნული მონაცემები, როგორც წესი, ფრაგმენტულია ან ძველ მონაცემებზე დაყრდნობით არის შეფასებული, ასევე, ის შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს, თუმცა პირად მონაცემად ითვლება და მიწოდების ცივი ჯაჭვის მონაწილეებს ამ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვთ.

## არსებული მონაცემები

პირველად წარმოებასთან დაკავშირებით, სტატისტიკის ეროვნული სააგენტო აქვეყნებს ანგარიშს როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი კულტურების წარმოების შესახებ. მონაცემები მოიცავს წარმოების ჯამურ მაჩვენებლებს რეგიონების მიხედვით. აღნიშნული მონაცემები არ მოიცავს ჩაშლას ჯიშების მიხედვით, არც ნერგების წლოვანებაა განსაზღვრული და ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენაც შეუძლებელია. შესაბამისად, ბიზნეს-სუბიექტებისთვის, რომლებიც პროდუქციის შექმნით არიან დაინტერესებულნი, ეს ინფორმაცია არასაკმარისია. აუცილებელია, მონაცემები ჯიშების მიხედვით კვირისა და თვის ჭრილში იყოს წარმოდგენილი მდებარეობების გათვალისწინებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს კვლევის მიხედვით, ამჟამად საქართველოში 210 სამაცივრე მეურნეობა ოპერირებს, რომელთა უმრავლესობა (67.6% — 142 ერთეული) შიდა ქართლშია განთავსებული. ზემოაღნიშნულ კვლევაში მოცემულია სამაცივრე მეურნეობების ზოგადი მაჩვენებლები: მომხმარებლების რაოდენობა, მწარმოებელთა რაოდენობა, დასაქმებულთა რაოდენობა, შენახული პროდუქტის რაოდენობა ტონებში, მათ



შორის, საკუთარი წარმოების პროდუქცია, რომელიც შესყიდულია შემდგომი რეალიზაციის მიზნითა თუ მომსახურების სახით, ასევე, ჯამური მონაცემები სამაცივრე მეურნეობებში გასაყიდად განკუთვნილი პროდუქციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მონაცემები ზოგად წარმოდგენას ქმნის დარგთან დაკავშირებით, კონკრეტული დეტალების გარეშე ეს ინფორმაცია მეწარმისთვის ნაკლებად გამოსადეგია.

აღსანიშნავია, რომ რითეილურთა ასოციაციას პირველი მცდელობა უკვე ჰქონდა, შეექმნა სტატისტიკა ქსელებში ყველაზე გაყიდვადი ხილ-ბოსტნეულის შესახებ, რაც მონაცემებზე წვდომის გაზრდისკენ გადადგმული ნაბიჯია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ გააჩნია დეტალური ინფორმაცია სამაცივრე მეურნეობების შესახებ, ეს მონაცემები აქვს იმ დონორ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც გრანტები გასცეს სამაცივრე მეურნეობებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაციები მხოლოდ თავიანთი ბენეფიციარების შესახებ არსებულ მონაცემებს ფლობენ, რაც ხშირად ფრაგმენტულია და არ არის გაერთიანებული მონაცემთა ბაზაში. თუმცა არც ფრაგმენტული მონაცემების მოპოვებაა შესაძლებელი ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისგან, რადგან მსგავსი ტიპის ინფორმაციის გაცემა იკრძალება „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად.

## **ევროკავშირის გამოცდილება პირადი მონაცემების გაზიარებასთან დაკავშირებით**

პირადი მონაცემების გაზიარების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ევროკავშირში 2018 წლიდან მოქმედებს „სასოფლო-სამეურნეო მონაცემების გაზიარების შესახებ ევროკავშირის კოდექსი“<sup>1</sup> (EU Code of conduct on agricultural data sharing by contractual agreement), რომელიც ევროკავშირის აგრო-სასურსათო ჯაჭვში შემავალი ასოციაციების კოალიციამ შექმნა. კოდექსის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ როგორც ფერმერთა კოოპერტივები, ის მეცხოველეობის სექტორში მოქმედი საწარმოები და სხვადასხვა მსხვილი ინდუსტრიის წარმომადგენლები — ცხოველთა საკვების, სასუქების, თესლის ან სასოფლო-სამეურნეო დანადგარების მწარმოებელი კომპანიები. კოდექსის მიღებისას, ჩართულმა მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კოდექსი მხარს უჭერს მონაცემთა გაზიარების სიკეთეების მაქსიმალურ გამოყენებას და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს-მოდელებს, მათ შორის აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და სხვა საწარმოებს, შეუფერხებლად გადავიდნენ ტექნოლოგიურად განვითარებული მეურნეობის ფაზაში.

კოდექსი განიხილავს აგრო-სასურსათო ჯაჭვში სასოფლო-სამეურნეო მონაცემების გაზიარების ზოგად პრინციპებს და იძლევა მითითებებს მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ პრინციპების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებს შორის დგება საკონტრაქტო ხელშეკრულება, რომელიც მუშავდება მხარეების მიერ, არის უფრო მკაფიო და განსაზღვრავს პირობებს კონკრეტული სიტუაციის საფუძველზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოდექსში

<sup>1</sup> [https://efac.eu/wp-content/uploads/2020/07/eu\\_code\\_of\\_conduct\\_on\\_agricultural\\_data\\_sharing-1.pdf](https://efac.eu/wp-content/uploads/2020/07/eu_code_of_conduct_on_agricultural_data_sharing-1.pdf)

წარმოდგენილი მითითებების გათვალისწინება არაა სავალდებულო და აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

კოდექსი განსაზღვრავს საბაზისო როლებსა და პროცესებს სოფლის მეურნეობაში მონაცემთა გაზიარების დროს. ამ განმარტებებზე დაყრდნობით კოდექსს შემოაქვს პრინციპები, რომლებიც დაჯგუფებულია 5 კატეგორიად:

**I. მონაცემთა მოპოვების უფლების მიკუთვნება (ასევე მოხსენიებულია, როგორც მონაცემთა მფლობელობა)**

- საჭიროა განისაზღვროს ვინ იწოდება მონაცემთა მფლობელად. ეს არის აგრო-სასურსათო ჯაჭვის რგოლი, რომლის საქმიანობის შედეგადაც ხდება მონაცემთა წარმოება;
- ხელშეკრულებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა მხარის პასუხისმგებლობა, რომ დაიცვას სენსიტიური ინფორმაცია მათი დამატებითი გამოყენების შეზღუდვის გზით;
- მონაცემთა მფლობელს აქვს უფლება მოითხოვოს სარგებელი (ფულადი ან სხვა სახის) მონაცემთა გაზიარებისთვის.

**II. მონაცემებზე წვდომა, მათი კონტროლი და პორტაბელურობა**

- მონაცემებზე წვდომა, მათი შენახვა და გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონაცემების მფლობელი, ხელშეკრულების საშუალებით, გასცემს ამის შესახებ ინფორმირებულ თანხმობას. თუ ორივე მხარე თანხმდება, ხელშეკრულებაში უნდა იყოს მითითებული პირობები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მონაცემთა მომწოდებლის იდენტიფიცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონაცემები უნდა იყოს ანონიმური;
- მონაცემების გაზიარება სხვა დაინტერესებულ მხარეებთან უნდა მოხდეს მხოლოდ მონაცემების მფლობელის თანხმობის საფუძველზე, ანონიმურობის დაცვით, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული მხარეების მიერ;
- მონაცემების შენახვა და გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ხელშეკრულებით გაწერილი მიზნებისთვის;
- მონაცემების მფლობელს აქვს უფლება, მონაცემები გაუზიაროს ნებისმიერ სხვა პირს, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან.

**III. მონაცემთა დაცვა და გამჭვირვალობა**

- მნიშვნელოვანია, რომ მონაცემების მიმღებ მხარეს ჰქონდეს შემუშავებული მონაცემთა დაცვის პროტოკოლი. პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები უნდა ინახებოდეს ფსევდონიმების ან სხვა კოდირების საშუალებით, რათა ანონიმურობა მაქსიმალურად იყოს დაცული;
- ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მონაცემთა მფლობელის თანხმობის საფუძველზე.

**IV. კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება**

- თუ მონაცემების გამოყენება ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც შემდეგ შეეხება მონაცემთა მფლობელს, ეს საკითხი ექვევა მონაცემთა დაცვის

ზოგადი რეგულაციის<sup>2</sup> ქვეშ. მონაცემების მიმღებმა უნდა გაუზიაროს მსგავსი სახის ინფორმაცია მონაცემების მფლობელს, რათა პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს;

- მონაცემთა მიმღებმა, მათი დაკარგვის შემთხვევაში, მუდმივად უნდა უზრუნველყოს მონაცემთა ადღგენის პროტოკოლის შემუშავება/განახლება.

## V. პასუხისმგებლობა და ინტელექტუალური საკუთრების უფლება

- ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი პასუხისმგებლობის საკითხები. მონაცემთა მფლობელმა უნდა უზრუნველყოს ნელლი მონაცემების სიზუსტე და მთლიანობა, თუმცა ის არ არის პასუხისმგებელი იმ დაზიანებებზე, რომელიც წარმოიშვა ან დაკავშირებულია მონაცემების მიღებასა და დამუშავებაზე პროგრამის, მოწყობილობის, მონაცემთა მიმღების ან სხვა მხარის მიერ;
- მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ ხდება მონაცემების გაზიარება, არის სავაჭრო საიდუმლოების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა და გაყალბებისაგან თავის არიდება. ამის გამო ერთობლივ პროექტებში მონაწილე ბიზნეს-პარტნიორებსაც კი არ აქვთ უფლება, მიიღონ მონაცემები.

ყველა ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს განმარტებული:

- მნიშვნელოვანი ტერმინები და განმარტებები;
- მონაცემების შეგროვების, გაზიარების და დამუშავების მიზანი;
- რა უფლებები და ვალდებულებები აქვთ მხარეებს მონაცემებთან დაკავშირებით;
- მონაცემების გაზიარების წესები და პროცესები, მონაცემთა უსაფრთხოება და სამართლებრივი ჩარჩო, რომელშიც მოხდება მონაცემების და მათი სარეზერვო ასლების შენახვა;
- პროგრამული საშუალებები ან შესაბამისი აპლიკაცია და ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო მონაცემების შენახვასა და გამოყენებაზე;
- მონაცემთა მფლობელობის ვერიფიკაციის მექანიზმები;
- გამჭვირვალე მექანიზმები ახალ ან/და მომავალ გამოყენებაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დანერგვა უზრუნველყოფს მხარეებს შორის ინფორმაციის შეუფერხებლად გაცვლას. სახელშეკრულებლო ურთიერთობების განვითარება შესაძლებელს გახდის შემდეგი სუბიექტებისგან მონაცემების მოპოვებას:

- კერძო კომპანიებისგან, რომელთაც აქვთ კანონიერი წვდომა მონაცემთა ბაზებზე;
- დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებიც გასცემენ დაფინანსებას აგრო-ბიზნესის სფეროში;
- საჯარო უწყებებისგან, როგორცაა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და დაქვემდებარებული უწყებები, რომლებიც აფინანსებენ სახელმწიფო პროექტებს სოფლის მეურნეობის დარგში.

<sup>2</sup> <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016R0679>

## პრობლემის გადაჭრის გზები

არსებობს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატივა, რომელიც უფრო დეტალურადაა განხილული ქვემოთ.

**ალტერნატივა 1. კანონში ცვლილებების შეტანა.** ვინაიდან, ინფორმაციასთან წვდომის უპირველესი შემაფერხებელი ფაქტორი სწორედ „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლია, ერთ-ერთი ალტერნატივაა გარკვეული კორექტირებების შეტანა კანონში. კონკრეტული ცვლილებები უნდა განისაზღვროს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე პირადი მონაცემების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით.

**ალტერნატივა 2. მონაცემების გაცვლა ხელშეკრულების საფუძველზე.** დაინტერესებული მხარეების მიერ მონაცემებზე წვდომის წინაპირობაა, რომ დონორმა ორგანიზაციებმა და საჯარო უწყებებმა ფერმერთან საგრანტო ან სხვა ტიპის ხელშეკრულების გაფორმებისას ყველა ბენეფიციარისგან მოითხოვონ თანხმობა მათი პირადი ინფორმაციის გასაჯაროების თაობაზე. შედეგად, კანონის დარღვევის გარეშე ორგანიზაციებს მიეცემათ საშუალება, მესამე პირს გადასცენ მონაცემები, გაასაჯაროონ მათი ბენეფიციარების პირადი ინფორმაცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო მონაცემების გაზიარებისას დაცული იყოს ევროკავშირში მოქმედი პრინციპები.

## დასკვნა

დღეისათვის მიწოდების ცივ ჯაჭვში თითოეული რგოლი ბიზნეს-გადაწყვეტილებებს არა მონაცემებზე, არამედ ვარაუდსა და სექტორში გავრცელებულ არაოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით იღებს. შედეგად, მიწოდების ჯაჭვი ვერ მუშაობს ეფექტიანად და ბაზარზე ხშირად არის საქონლის სიჭარბის ან დეფიციტის შემთხვევები. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მიწოდების ცივი ჯაჭვის ასაწყობად საჭირო მონაცემებზე წვდომის გაზრდა მათი კონსოლიდაციისა და გასაჯაროების გზით.

დოკუმენტში აღწერილ მონაცემებზე წვდომა ხელს შეუწყობს ფერმერებს, პირველ რიგში, იმის განსაზღვრაში, თუ რა პროდუქცია უნდა მოიყვანონ, რომ მათი ბიზნესი უფრო მომგებიანი და სტაბილური გახდეს. ადგილობრივი წარმოების მონაცემები ხელს შეუწყობს ლოჯისტიკურ კომპანიებს თუ საცალო მოვაჭრეებს საკუთარი მარაგებისა და შესყიდვების უკეთ დაგეგმარებაში, საქონლის ფასის განსაზღვრასა და, შედეგად, უკეთეს ფასწარმოქმნაში. პარტნიორი კომპანიების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე დეტალური წვდომა კი ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე კომპანიების შემოსავლების გაზრდას.